# სახალხო გაზეთი

№ 750 ხუთშაბათი, 15 ნოემბერი 1912 წ. № 750

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სიავრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ზის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში— მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


პაპიროსები „გალლეია“ ამხ. „კომეტა“
25 ც.—15 კ. 10 ც.—6 კ. ქ. ტფილისი. 1574

---

## კანტორისაგან

1912 წ. პრემია „გრდემლის“ მისაღებად უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უყურადღებოდ იქნება დატოვებული.**

---

## სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 გიორგობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 1 მ. და 50 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ).
საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისსათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.
გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.
რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**
დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

---

**ტფილისის ქართული გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭო** დიდის მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 13 ნოემბერს, დაბა ხონში გარდაიცვალა ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე

## არისტო ვასილის ძე ქუთათელაძე.

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1599.

---

## ქართული თეატრი

შაბათს, 17 ნოემბერს გაიმართება **უკანასკნელი გამოსათხოვარი კონცერტი** გამოჩენილ პიანისტ

### ა. პ. გოროვსკისა

სიმფონიურ ორკესტრის მონაწილეობით.
შესრულებული იქნება: კონცერტი Es-dur ლისტისა კონცერტი C—moll **რახმანინოვისა.**
დასაწყისი საღამოს 8½ ს.
ბილეთების ფასი: პარტერში 3 მ.—1 მ.; გალლერეიაში 50 კ.—20 კაპ.
ადგილების დაკვეთა შეიძლება თეატრის კასსაში. 1536.

---

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

**ხუთშაბათს, 15 ნოემბერს,**

ქართული დრამატ. საზოგად. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: **სრულიად ახალი მიზან-სცენებით** ცნობილი ისტორიული პიესა 5 მოქმედებ. დრამა **ალ. სუმბათაშვილ-იუჟინისა:**

## ღ ა ლ ა ტ ი.

**ამ პიესისათვის საგანგებოდ დახატულია ახალი დეკორაციები მხატვარ გ. ნალებაშვილის მიერ. ✦ შეკერილია ახალი ტანისამოსი.**

მონაწილეობენ: ქ-ნნი: აბაშიძე, დავითაშვილი, კარგარეთელი, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი; ბ ნნი: აბაშიძე, აბდუშელი, ალექსიძე, გუნია, გედევანოვი, გამყრელიძე, ზარდალიშვილი, მატარაძე, მგალობლიშვილი, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი.

**დასაწყისი საღ. 8 საათზე.** ადგილ. ფას ჩვეულებრივია.

**ანონსი:** კვირას, 18 ნოემ. წარმ. იქნება **მეორედ** ახალი ორიგინალ. პიესა ნ. შიუკაშვილისა „მთის ზღაპარი“, და დ. კლდიაშვილის მხიარ. ვოდევ. „დარისპანის გასაჭირი“.

1578 რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი** ქართული დრამატ. საზოგად. ადმინისტ.

---

**ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების ტფილისის წიგნის მაღაზიაში** ისყიდება ახალი გამოცემა ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოებისა

## გრდემლი

სალიტერატურო კრებული **წიგნი მეორე**

შინაარსი: **ვ. ბარნოვი** ფარჩის ახალუხი, **ა. შანშიაშვილი**—მედია და ელენე, **უიარალო**—მამელუკი, **ს. აბაშელი** -ლექსები, **ჯ. ჯორჯიკია**—ქალი, რომელსაც თავისი სახე არ უნდა ენახა, **ევდოშვილი**—ლექსი, **ა. პაპავა**—ქალის ცრემლები, **ი. გრიშაშვილი**—ლექსები, **ნ. ლორთქიფანიძე**—მრისხანე ბატონი, **კიკნა-ფშაველა**—ლექსი, **შ. უმბაძე**—ზღვის ქალი, **მ. უზნაძე**—ლექსი, **ექ. გაბაშვილი** ფრთებ დაგლეჯილი, **გ ტაბიძე**—ლექსი, **დუტუ მეგრელი**—პატარა სოფლის სიკვდილი, **კ. აბაშისპირელი**—ლექსი, **ნ. ნაკაშიძე**—ვინ არის დამნაშავე **ფასი 1 მ. 50 კ.**
ბინაზე, წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. საწყობი იმყოფება გ. ს. რცხილაძის ოლგის ქუჩის შესახვევში, სახლში № 5. 1561.

---

წელიწადი მეთხუთმეტე.

## დამუშავებულ ამერიკულ ვაზის და ხეხილის სანერგე „სანდო“,

### გიორგი მ. ჩივაძისა

ამით აცხადებს, რომ კვალინდებურად **დამზადებულია** მიმდინარე 1912 და მომავალ 1913 წ. **დიდძალი სარგავი მასალა.** 1586

მისამართი — ქუთაისი მამია გურიელის ჩასახვევი, ფოსტასთან სახლი.

---

ქარხნის მარკა

## კონიაკი და ლიკორი ს. ს. მამრიარსკისა

ტფილისი ელისაბედის ქუჩა № 166. 1570

---

## მიიღება ხელის მოწერა 1913 წ.

ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ

### „ნაკადული“-ზე.

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ორი გამოცემა:**

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი
მოზრდილთათვის . . 12 წიგნი

ღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მ., საზღვარ-გარედ 7 მ.
წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ საჩუქარს.
ხელის მოწერა მიიღება „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტ. 8, და აგენტებთან. 1591

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ჩუღურეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლო.**
**ტელეფონი № 590.**
**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებით სამშობიარო განყოფილება.**
მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. |
| | **მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. |
| | **ფედოროვი ი. ზ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგ.-გინეკოლ. სნეულებანი | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½). |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **ფარმაკოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ქალთა და სამშობიარო სნეულებანი | ექიმი-ქალი **ვერბიცკა-ფირაძისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. |
| | **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **ხულაკოვი ა ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყო დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. |
| | **ფედოროვი ი. ზ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. |
| | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს. |
| ყურ. ყელ. და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½ |
| | **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენ. | **დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ „914“ და **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა. ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1010.

---

✦ **გამოსულია და იყიდება** ✦

## ნ. შიუკაშვილის პიესა „მეგობრობა“,

დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

---

## დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

### წამლობა ჭლექისა.

ფილტვებისა, ძვლეებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**
შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი**, ბებუთოვის ქ., № 23 (განოვისქ. კუთხე). **ტელეფ. 7—92.** 777

---

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

იწვევს იმათ, ვისაცა ჰსურს იკისროს საკანცელარიო ნივთების მიწოდება ქალაქის დაწესებულებებთათვის 1913 წლის განმავლობაში. პროექტი ხელშეკრულებისა, კონდიციისა და სხვა საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის გამგეობის მატერიალურ განყოფილებაში დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 5 საათამდე.

განცხადებანი ფასებით მსურველებმა უნდა ჩაუშვან დაბეჭდილ კონვერტებით საგანგებო ყუთში, რომელიც გამგეობის პირველ განყოფილებაში იმყოფება. განცხადებანი უნდა შეტანილ იქნას 17 ნოემბრამდე. 1596

---

შეიძლება დაკვეთა:

## ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

**ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,**

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა, ფორმატი in quarto.

**ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად, 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

**ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან**
**ფოთში—იონა მეუნარგიასთან.** ✦ **თელავში—თამარ აბაშიძესთან.**
**სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.** ✦ **ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.**
**სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.** ✦ **ბაქოში—ილია ავალიძესთან.**
**სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.** ✦ **ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.**
**ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.** ✦ **ერევანში—ელენე ვირსალაძესთან**
**ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან. გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან**
**ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.** 1153

---

## საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის პირდაპირ ბლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 8, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.
**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½ ს.
**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.
**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.
**ნ მ. მელიქიშვილი** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
**ივ. გომართელი.**—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური-ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი შეთანხმებით.

## წამლობა „606“-ით. 1018

---

**ელექტრონისა და რენტგენის**
**სამკურნალო**

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

---

## ექიმ ი. ე. ჯაში

**განაგრძობს ავადმყოფ.**
მიღებას დედათა და სადოსტაქრო ავადმყოფ. ექიმობა ბავშვების ძვალთა ჭლექისა ფიზიკურ-მექანიკურ საშუალებით. დილის 11—1 ს. საღ. 5—8 ს. დიდი ვანქის ქ. № 6. ტელეფონი 1107. 791

---

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდ. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.
ტელეფონი № 483.
**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.
**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
**არგუთინსკი**, შინაგ., ბავშვ ყ.-დღ. 1—1½ ს.
**აჩვლედიანი** შინაგან სნეულ. საბავშ. სამშაბათ. ხუთშაბათ. შაბათ. საღამოს 4—5 საათ.
**ბოგუსევსკი.** შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხ. შაბ. პარასკევ. საღამ. 4—5 ს.
**მონსე.** ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხშ და პარასკ. 2—3 საათ.
**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს,
**კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.
**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.
**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.
**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—12½
**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.
**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.
**ერმოლაევი** —ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.
**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.
**ბესსერი** შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.
**ბაგდოევისა**, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.
**შამაში,** ქირურგ. ავადმყ. ყ. დღ., კვ. გარდა 1½ 2½ ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. აკად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინადაწინვე ჩაწერით. 366.

---

## ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე.

იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5—6 საათამდე.
კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

---

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

---

## ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყ (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-კარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. 1045.

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია**
იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე 1049

**ექიმი** ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.** № 9½, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. 1530

**ექიმი** ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**
იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

**ექიმი** ი. კ. აბაკელია იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4½—6½ საათ. **ელისაბედის ქ. № 7**, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. 789

**ექიმი** ზ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ხორცის ნიხრი: **ძროხის ხორცი** გირვანქა—12 კაპ., ცხვრისა—14 კაპ., გაფუფქული ღორის ხორცი 14 კაპ., გატყავებული—15 კაპ.

✦ **პოეტს ვ. რუხაძეს** წელს ოცი წელიწადი შეუსრულდა, რაც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა.

✦ გუშინ, 14 ნოემბერს, დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში გაჰგზავნეს **გაზ. „ხალხის" რედაქტორ-გამომცემელი ბ-ნი შაქრო საფაროვი**, რომელსაც სასამართლომ ერთი წლით ციხე მიუსაჯა, გაზეთში დაბეჭდილ ლექსისთვის.

✦ ახალგაზრდა ქართველი **ავიატორი ბ. ალექსი შიუკაშვილი**, რომელიც 19⁸/₉—10 წლებში საცდელ ფრენას ახდენდა ხოლმე, უკვე შესდგომია თვის მიერ გამოგონილ ახალ სისტემის ჰაეროპლან (Canard") „იხვის"-ს კეთებას. იგი ამ თვის ბოლო რიცხვებში დაამთავრებს და საცდელ ფრენასაც მოახდენს, რის შემდეგაც გაფრინდება საჯაროდ.

✦ **მიწის ძვრა.** გუშინ, 14 ნოემბერს, ტფილისში მიწა იძრა. პირველი ძვრა იყო დილის 6 ს. და 49 წუთზე. გაგრძელდა 30 წ. შემდეგ 37 წამის განმავლობაში მცირე მიწის ძვრა იყო. შემდეგ დილის 7 საათზე 14 წამის განმავლობაში ძლიერი მიწის ძვრა იყო და მთაწმინდაში, თხინვალის ქუჩაზე, ტარიელაშვილის სახლის კედელი გადმოინგრა.

✦ საბჭოს სამეურნეო კომისიამ და ქალაქის ტეხნიკოსებმა, 14 ნოემბერს დაათვალიერეს **ვერის მოედანი**, სადაც გადაწყვეტილია მოეწყოს სამუდამო ბაზრობა.

✦ **თევზის მაზანდა ტფილისში.** ამ ჟამად ზუთხი—30 კაპ., ორაგული—1 მან., გოჭჩის კალმახი—25 კაპ., ფარგა—18 კაპ., ჭანარი (კომბარი)—15 კაპ. სხვა და სხვა წვრილი თევზი—10—12 კაპ.

✦ **სანოვაგის ნიხრი:** კომბოსტო ფუთი—40 კაპ., გირვანქა 2 კაპ., წითელი კომბოსტო გირვანქა—4 კაპ., კართოფილი ფუთი 55—60 კაპ. განჯის ყურძენი გირვანქა 11—12 კაპ, ვაშლი და მსხალი 6 კაპეიკიდან.

✦ **კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი რუდოლფი** ამ ჟამად მოსკოვში იმყოფება სადაც, ტფილისში განზრახულ პოლიტეხნიკუმის გამო, ეცნობა მოსკოვში ტეხნიკური სწავლის საქმის დაყენებას.

✦ საფოსტო კანტორასთან არსებულ სახელმწიფო ბანკის **შემნახველ კასაში** ოქტომბრის განმავლობაში შეუტანიათ შესანახად 82,961 მან. და 75 კაპ., გაუტანიათ ამავე ხნის განმავლობაში 42,570 მან. 71 კაპ.

✦ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას სხვა და სხვა ბამბის მრეწველთაგან მოსდის თხოვნები, **ბამბის საცდელ მინდვრებისა** და მეურნეობის, მოწყობის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

✦ ჯევანშირის მაზრის **ბამბის მრეწველმა** მამედ ია გაჯიევმა კავკ. სამ. საზოგადოებას სთხოვა მისცეს მას სესხად 2000 მან. ბამბის აღსადგენად.

✦ ქალაქის სამოსწავლო კომისიაში განხილულ იქმნა საკითხი ტფილისში უმაღლესი ტიპის **პირველ დაწყებით საქალაქო სასწავლებლის** დაარსებისა. მიღებულ იქმნა წინადადება რომ ეს საკითხი განიხილოს და გეგმა შეიმუშაოს სპეციალურმა კომისიამ.

✦ **ქალაქის ახალი შენობები.** გამგეობამ დაავალა ქალაქის ხუროთმოძღვარს პ. ა. ზურაბიანცს. საქიმიო ლაბორატორიის ლომბარდის შენობის პროექტის შედგენა. ლომბარდი აშენდება რეუტოვის ქუჩაზე. შენობების ღირებულება უდრის 100,000 მანეთს.

✦ **შავი ქვის გაზიდვა.** ჭიათურიდან გაუზიდნიათ ოქტომბრის განმავლობაში 2.690,700 ფუთი. ბათუმის ნავთ-სადგურიდან იმავე თვის განმავლობაში გაუზიდნიათ 708,746 ფუთი. ფოთის ნავთ-სადგურიდან—1.562,960 ფუთი.

✦ ქ. ქუთაისში გარდაიცვალა ცნობილი **პედაგოგი** ქალთა წმინდა ნინოს სასწავლებლისა **სტეფანე შიოს ძე ძიმისტარაშვილი.** განსვენებული ცნობილი იყო როგორც კარგი პედაგოგი და პოეტი „კორტოხას"-ს ფსევდონომით.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალ **„განათლების"** მე-IX (ნომერი) შემდეგის შინაარსით: 1) პროფ. ლუდვიგ გურლიტტი ბუნებრივი აღზრდის გზა და მიზანი, ლ. ბოცვაძისა. 2) ქართველი ტომები ქსენოფონტის ცნობები ა. სვანიძისა. 3) სწავლა-განათლების იდეალი, გიორგი მეფარიშვილისა. 4) მოკლე საუბარი ანატომიიდან, ფიზიოლოგიიდან და ჰიგიენიდან, ექ. ევგ. ლოსაბერიძისა 5) ნიკოლოზ ბარათაშვილი. ცხოვრების აღწერითი ცნობები, ილ. ფერაძისა. 6) ბუნება ქართული ენის ეტიმოლოგიურ შენობისა, მ. ქ. ყიფიანისა. 7) კიდევ სადავო ნენ და ენ, ივანე ავალიშვილისა. 8) პატიოსანი (დასასრული) ილ. გოგიასი. 9) განშორების ჟამს, დ. თურდოსპირელისა. 10) ხმა მდინარისა, გელასი. 11) წითელი (ამბავი) დ. ვედრებისელისა. 12) დილა (ლექსი) ლადო გეგეჭკორისა. 13) შავი ფიქრები, დ. თურდოსპირელისა. 14) ვედრებით სიყვარული, კიკნა-ფშაველასი. 15) სევდის ტალღები, გელასი. 16) გრძნობათა ფერფლი, გ. ტაბიძისა. 17) ორი მსხვერპლი, გ. ლეონიძისა. 18) ყრმობა დიმიტრი ყიფიანისა. 19) ჰიგიენა, ილ. ალხაზიშვილისა. 20) შინაური მიმოხილვა. 21) უცხოეთი—პირველ-დაწყებითი სასწავლებელი დასავლეთ ევროპაში, კოტესი. 22) მოწერილი ამბები (წერილი გურიიდან) გრ. საქარიქედელისა.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ ქართ. შ. წ.-კითხ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის კრება მოხდება დღეს, საღამოს 7 ნახევ. საათზე. გამგეობამ, საგანგებო კომისიასთან ერთად უნდა შეიმუშაოს გეგმა წ. კ. საზოგადოების რეორგანიზაციისა. აგრეთვე განსახილველია საკითხი წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილებაში წ-ვნების ვაჭრობის წესები და სხვა.

## ქუთაისი

✦ 12 ნოემბერს **ქალაქის საბჭოს კრება** მოხდა. კრებაზე მსჯელობა ჰქონდათ საკარაუდო შემოსავლის მეხუთე პარაგრაფის თაობაზე. უძრავი მამულების შემოსავალი ნავარაუდევია 137,793 მანეთი, სავაჭრო-სამრეწველო გადასახადებისა—30,000 მანეთი, სხვა და სხვა გადასახადებისა—6,000 მანეთი და ქალაქის მამულებისა და საიჯარო საქმეებისაგან—67,294 მანეთი. მიღებულ იქნა საფინანსო კომისიის დადგენილება შესახებ იმისა, რომ ცხენებზე დაწესებულ გადასახადს მიუმატოს თითო მანეთი, კამეჩებზე ორი მანეთი, ხარებზე და სხვა ტვირთის მზიდველ საქონელზე თითო მანეთი, ე. ი. თითო ცხენზე უნდა დაწესდეს წლიურად შვიდი მანეთი, კამეჩზე—ექვსი მანეთი და ხარზე—ხუთი მანეთი. უყურადღებოდ იქნა დატოვებული ყასბების თხოვნა ხორცის ნიხრის მომატებისა.

✦ ერევანში გადაცვლილა პედაგოგი **ნ. მაჰავარიანი**, რომელიც დიდ ხანს ქუთაისში მასწავლებლობდა და საზოგადოებაში სიყვარული ჰქონდა დამსახურებული.

(„იმერეთი")

# ტფილისის ქართ. დრამ. საზოგადოების წლიური კრება

კრება გაიხსნა 12½ საათზე. წაიკითხეს წინანდელი სხდომის ოქმი, რომელიც მცირე შესწორებით დაამტკიცეს. ამის შემდეგ კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება ქართ. დრამ. კურსების დაარსების შესახებ, რომლიდანაც გამოირკვა, რომ კურსებზე ამ ჟამად 15 მსმენელია, გარდა სცენის მოყვარულთა და მსახიობთა, რომელნიც უსასყიდლოდ სწავლობენ. კრებამ გამოსთქვა სურვილი, კურსების ლექციები ისე მოაწყოს, რომ მსახიობებსაც შეეძლოთ დასწრება. კრებამ იქონია მსჯელობა საწევრო გადასახადის შემცირებისა ხუთი მანეთიდან სამ მანეთამდე, წესდების მე-9 მუხლის შეცვლისა და ძველი წევრებისაგან გადაუხდელი ფულის შემოტანის შესახებ, რომელნიც მცირე კამათის შემდეგ მიიღეს. არჩევანი ერთი გასულის წევრისა და სამი კანდიდატისა გადადვეს მაისის კრებისთვის. სარევიზიო კომისიის წევრებად ერთხმად აირჩიეს; დ. დუმბაძე, პ. მამრაძე და ს. გაბუნია, ხოლო ძველი გამგეობის ვალების ცნობაში მოჰ. აყვანად აირჩიეს: ი. რამიშვილი, გ. ანანიაშვილი. დასასრულ კრებამ მოისმინა მოხსენება გამგეობისა, რომ ქართ. დრ. საზოგ. მსახიობებმა თავისუფალ დროს მონაწილეობა მიიღონ სახალხო სახლის წარმოდგენებში უსასყიდლოდ. ამ პირობით უკვე მომხდარა შეთანხმება გამგეობასა და სახ. სახლ. არსებულ წარმოდგენების მმართველ წრის შორის. კრება დასრულდა ნაშუადღევის 3 საათზე.

კრების გათავებისას გაიმართა კერძო თათბირი ვლ. მესხიშვილის იუბილეს გამართვის შესახებ. ერთხმად დაადგინეს: იუბილე ამ წელშივე დიდ მარხვამდე მოეწყოს. მიენდოს გამგეობას, გარეშე პირთა მოწვევით, სადღესასწაულო პროგრამის შედგენა. თათბირზე გამოითქვა აგრეთვე სურვილი, რომ გამგეობამ იზრუნოს ქ. ყიფიანის იუბილეს გამართვაზე.

# ქუთაისის ამ-ბები.

„ილიას საღამომ" ჩვენ საზოგადოებაში ფეხი მოიკიდა, ხალხი ურეკლამოდ, დაუპატიჟებლად ავსებს ხოლმე თეატრს და ხან დაგვიანებულნი ბილეთსაც ვერ შოულობენ. მკითხველი დამეთანხმება, რომ ეს მოვლენა აღსანიშნავია ჩვენს ცხოვრებაში და უფრო კი ის არის ყურადღების ღირსი, რომ „ილიას საღამოების" დახმარებით ჩვენი საზოგადოება ეცნობა ისეთ ქართველ მწერლებს, რომელთა სახელი თუ გაუგონია, თორემ ნახვით არც უნახავთ და იქნება ვერც ენახა. ამ საღამოების წყალობით ქუთათურებმა იხილეს თავის საკუთარი თვალით წრეულს ჩვენი მცხოვანი მწერალი ქალი ეკატერინე გაბაშვილისა.

ქ-ნი ეკატერინეს აქ მოსვლა „ილიას საღამოში" მონაწილეობით არ განისაზღვრა. იგი გაეცნო აქაურ დაწესებულებებს და ყველგან, სადაც კი მივიდა, უღრმესი პატივისცემით და აღტაცებით შეხვდნენ. უნდა გენახათ, როგორი გულის ფანცქალით ელოდა 1200 მოსწავლე ქ-ნ ეკატერინეს მისვლას ქართულ გიმნაზიაში, უნდა გაგეგონათ რა სიტყვებით მიმართეს მცხოვან მწერალს უფროსი კლასის მოსწავლეებმა ამავე გიმნაზიისამ და მიუხვდებით თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი დამსახურებული მწერლების მოგზაურობას ჩვენისავე ქვეყნის შვილების გასაცნობათ.

სულ ჰაბუკი წრე ჩვენი მანდილოსნებ-სა, რომელიც ჯერ კიდევ ტაატით დადის, ქ-ნ ეკატერინეს მათ კრებაზე დასწრებამ, თითქო მოალონიერა, თანამგრძნობელნი მოუზიდა და თან განმტკიცა ის ფრიად საგულისხმო აზრი ქალთა წრისა, რომ უნდა დაარსდეს სახელოსნო სკოლა ღარიბ ქალთათვის ქუთაისში.

ქ-ნი ეკატერინე უკვე გამოეთხოვა ქუთათურებს და ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ რომ მის ჩამოსვლით გაღვიძებული ქალთა წრე საქმიანობის გზას დაადგება.

* * *

შენ-ჩემობას უღრმესი ფესვი აქვს გამდგარი ჩვენ საზოგადოებაში და ეს არის რომ საძირკველს უთხრის ყველა ჩვენ საზოგადო საქმეს.

ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდა, რომ უმაღლესად მიცემული ფული სტიპენდიებად აღარ გაიცეს, და გაღებული სტიპენდიანტები გაათავებდენ თუ არა სწავლას, განთავისუფლებული თანხა უნდა მოხმარებოდა ქართულ გიმნაზიის შენახვას. ქუთაისის თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულო კი რომელიც თითქო სხვაზე მეტად ვალდებულია შეასრულოს აზნაურობის მიერ მოწონებული და დამტკიცებული დებულებანი, ამ დასკვნამდე მისულა: ასეთი გადაწყვეტილება არც ისე მტკიცე და სასარგებლოა, რომ შეცვლა შეუძლებელი იყოსო. აუღია და ამას წინად, წინააღმდეგ თ.-აზნაურთა კრების გადაწყვეტილებისა, გაუცია ერთი სტიპენდია და ამასთან ისეთ ყმაწვილს რგებია იგი, რომ არაფრით შესანიშნავი არ არის.

რად, რისთვის გადალახეს დადგენილება კრებისაო? იკითხავს მკითხველი. იმიტომ რომ თხოვნას, შუამდგომლობას და შენ-ჩემობას ვერ გაუძლეს და უკანონო, მავნებელი გადაწყვეტილება მიიღეს.

* * *

ახალი ცოცხი, მოგეხსენებათ, კარგად ჰგვის. მეშინიან, ახალი ცოცხობა დავუწამო ახლად დანიშნულ დირექტორებს რეალურ სასწავლებლისას და გიმნაზიისას, რადგან ჯერ-ჯერობით მათი მოქმედება ბევრად განირჩევა მათ წინამოადგილეთაგან. მარტო ის, რომ აღვნიშნოთ, რომ მათის მეცადინეობით და თაოსნობით ქართული ენის სწავლება შემოიღეს უფროს კლასებში, ესეც საკმაოა. ვსთქვათ, რომ სურვილები კარგი ჰქონიათ. წინდაწინვე ვიცით, გვეტყვიან—ქართული სავალდებულო საგანი არ არის და მასთან მეექვსე გაკვეთილებს თუ უწილადებენ, ქართულ ენას, თორემ სხვას ვერ გაიმეტებენო. ეხლანდელი დირექტორების წინამოადგილეები იმ მცირე ყურადღებასაც არ აქცევენ ქართულ ენას, რომელიც ახლებს ემჩნევათ.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ წინანდელი კაპრალისებური რეჟიმი შესუსტდა, კაცი ჰქმიობა მოისპო მთავრობის საშუალო სასწავლებლებში. ჯერ ასეა და მომავალი რას დაგვანახვებს იმასაც მოგახსენებთ.

ქალაქის გამგეობის წევრის არჩევაც მოახლოვდა, ... დღე ეს არჩევანი უნდა მოხდეს. მსურველი მრავალია. ხმოსნებს მოსვენება აღარა აქვთ—ზოგიერთ კანდიდატისა და მათ მახლობელთაგან. თხოვნით აპირებენ ზოგიერთნი გამგეობის წევრად გახდომას. მეტი რომ არა სთქვას კაცმა, ასეთი ჩვეულება, რომელიც მგონი მარტო ქუთაისშია გამეფებული, დასაგმობია. ხმოსნებიც, იმედი უნდა ვიქონიოთ, თხოვნასა და შენ-ჩემობას უკუ აგდებენ და ქალაქს აურჩევენ სასარგებლო მუშაკს, რომელიც ასე ეჭირვება ჩვენ დაბეჩავებულ ქალაქს.

კი, მაგრამ შესაძლებელია დღევანდელ პირობებში კაცს უდიერი შრომა მოსთხოვო, მრავალ-გვარი პასუხის გება მოახვიო თავზე და უზრუნველიც-კი არ ჰყო? ეს კითხვა ძალაუნებურად იბადება, როცა გაიხსენებ, რომ ქალაქის გამგეობის წევრის წლიური ჯამაგირი 1800 მანეთია. დღე და ღამეში, რომ 24 საათის მაგივრად 48 საათი იყოს ესეც-კი არა კმარა ქალაქის გამგეობის წევრისათვის თავის მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის და ქალაქი ასეთი შრომისათვის იმდენ სასყიდლსაც-კი ვერ აძლევს, რომ აუცილებელი საჭიროება დაიკმაყოფილოს კაცმა. ეს ჩვენის ფიქრით შეუძლებელია და ამიტომ სიამოვნებით ვეგებებით იმ გარემოებას, რომ ხმოსანთა ერთ ჯგუფში აღძრულა კითხვა იმის შესახებ, რომ ქალაქის გამგეობის წევრს წლიურ სასყიდლად 2400 მ. დაუნიშნონ.

**ხ. ე. კ.**

# † არისტო ვასილის ძე ქუთათელაძის გარდაცვალება.

(ნეკროლოგი).

ხონიდან ფრიად სამწუხარო დეპეშა მოგვივიდა. გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ცნობილი პედაგოგი და უანგარო საზოგადო მოღვაწე არისტო ვასილის ძე ქუთათელაძე. განსვენებულმა დაასრულა ქუთაისის საკლასიკო გიმნაზია და უმაღლეს სწავლის მისაღებად პეტერბურგში გაემგზავრა. იქ მან დაასრულა აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტი. მას შემდეგ ის შეუდგა პედაგოგობას. იყო მასწავლებლად გორისა და ხონის სემინარიებში. ამის შემდეგ გადმოვიდა ქართული ენის და საქართველოს ისტორიის მასწავლებლად ტფილისის ქართულ გიმნაზიაში. განსვენებულმა ამ სასწავლებელში დაჰყო 21 წელიწადი. შემდეგ ავადმყოფობის გამო იძულებული იყო თავი დაენებებინა მასწავლებლობისათვის. არისტო ვასილის ძემ შეადგინა რამდენიმე სახელმძღვანელო ქართული ენის, გრამატიკის, საქართველოს ისტორიის და გეოგრაფიისა. მათ შორის „წყაროს" დღესაც საპატიო ალაგი უჭირავს ჩვენს სასწავლებლებში. იღებდა იგი მონაწილეობას ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, განსაკუთრებით

# ფიქრები სამშობლო ლიტერატურაზე

XI

## ტკბილი წამალი.

(ბ-ნ ნ. ზომლეთელის პოეზია.)

(დასასრული *)

მინდოდა ბ-ნ ზომლეთელის შემოქმედებაზე ორი სიტყვა მეთქვა, და ჩვენი ახალგაზრდა მგოსანთა საერთო დახასიათება კი გამომივიდა. რას იზამთ! ზომლეთელი ამ მწერალთა გუნდშია და ეს გუნდიც ზომლეთელშია; ერთზე ლაპარაკი სავსებით მეორეს შეეხება და ახასიათებს.

წელს ერთ ადგილას ჩემს ლექციას („ახალგაზრდა მგოსნებზე"), ზომლეთელიც დასწრებოდა და მას ერთი პირისათვის მოეხსენებინა—თითქოს ზომლეთელი ჩემთვის არ არსებობდეს; მინდა ვაუწყო ახალგაზრდა მგოსანს, რომ ეგ მართალი არ არის,—იგი ჩემთვის არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობენ ზოგი ნიჭიერი მწერლები, რომელთაც საკუთარ გზისათვის ვერ მიუგნიათ და ინდივიდუალობა ვერ უპოვნიათ ჩვენთვის. ამიტომ, სანამ ისინი სხვებში აირევიან და დაითქვიფებიან, მე მათზე განსაკუთრებით ცალკ-ცალკე ვერას ვიტყვი, რადგან ერთისა და იმავეს განმეორება მოსაწყენია და დასაგმობი.

ამას ჩვენი მგოსანთა უმრავლესობა ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარა და მუდამ ერთსა და იმავეზე მოგვითხრობენ ტირილზე და ცრემლებზე, ასე რომ ბოლოს თანაგრძნობის ნაცვლად ჩვენში სიბრალულსა და ბრაზს იწვევენ მხოლოდ.

უპირველესად ყოვლისა, როგორც აღვნიშნე, ბ-ნი ზომლეთელი „ტკბილი წამალი"-ს პოეტია.

მას უნდა ახალგაზრდობის დაწყლულებულ გულს, საკუთარ ტკივილებსა და ჭრილობებს წამალი უპოვოს და ამ წამალს ყოველთვის, დათიასავით, იქ დაეძებს, სადაც იგი იაფია და ტკბილი. ზომლეთელის პოეზიაც ასევე მსუბუქი, იაფ-ფასიანი და სასმენად ტკბილია.

ბ-ნ ზომლეთელს აქვს ნიჭი ბუნების სილამაზისა და მშვენიერების აღწერისა. როცა ბუნება ხარობს და მას ნამდვილი ზეიმი აქვს, მაშინ პოეტის განცდაც სადაა და ბუნებრივი და ლექსიც ლამაზი გამოდის:

„შენ მოდიხარ, ჩემს წინ დგები
მომღიმარი, ეშხიანი
ლალნი ბროლთა გაუპიათ
ალმასთ შვენის ყორნის ფრთანი
გედივით ყელ-მონაღერი
ამაყი ხარ, ვით არწივი
შენს სახეს ზედ დასთამაშებს
სილალის და შვების სხივი"...

როცა ასეთი მშვენიერების სიმბოლო პოეტისაკენ ისწრაფვის, უკანასკნელსაც აღმაფრენა იტაცებს და იგი, ექსტაზით შეპყრობილი, კი არ ხედავს, არამედ **ღრმად განიცდის მშვენიერებას**, მის ძალას და ეს სილამაზის ძალა მასში ჰბადებს მშვენიერების რელიგიურ კულტს და ისიც მუხლს იყრის, რომ ლამაზი ლოცვა აღუვლინოს მშვენიერების ძალას:

„დავიჩოქებ, ხელთ აღვაპყრობ,
კრძალვით პირჯვარს გადვისახავ,
**გულს სიწმინდე აღმიფრთოვნებს**
მყის, რა წამს შენ დაგინახავ".

შეუდარებელის ჰანგებით, მსუბუქის საღებავებით აქვს პოეტს აწერილი მომენტი გაზაფხულის მოახლოვებისა, როცა არე-მარე ხარობს, და ავტორიც სისწორით გადმოგვცემს ამ მშვენიერების წუთების განცდას:

„**სულის მზეო**, გულის ვარდო
ძვირფასო,
**გრძნობის მთვარევ**, მშვენიერო,
კისკასო.
. . . . . .
გაზაფხულმა ფარჩის კაბა გაშალა,
ბაღში ვარდმა გულის სევდა დასცალა...
შენც დასცალე, გენაცვალე ვარაქი
და ფერადი გამოჰკიდე ალამი!
გაიღვიძე, გაზაფხული მოსულა!
შენი სატრფო საქორწილოდ მორთულა"...

აქ პირდაპირ გრძნობთ გაზაფხულის სულის ჩამდგმელ ჰავას, მის ნორჩობას, ყვავილოვნობას და სიტურფეს.

სილამაზისა და მშვენიერების განცდაში ზომლეთელი მხცოვან აკაკის მოწაფეა, ბუნების ზეიმს დიდ მგოსანთან ერთად, თითქოს ისიც ორგანიულად განიცდის, ასეთია სატრფოს სანუგეშო ყოფის სურათიც:

„ჩემო სატრფოვ, ლამაზო, თმა
ხუჭუჭო,
საუკუნოდ თვალები არ დახუჭო!
მე მგონია ძილს განიცდი, სიზმარსა,
გაიღვიძებ, მხოლოდ უცდი ცისკარსა."

ასე რიგად ახარებს პოეტს ბუნების ზეიმი; სინაზე და ლაღობა ბუნებისა თვითონ მასზე გადმოდის და ისიც ასე ლაღობს, როგორც შვილი ამ ყვავილთა წიაღში აღზრდილი, მან იცის ყვავილთ ენა, ესმის მათი სიმღერა:

„ასე მღერის ნაზი ია,
ამის მოწმე სოსანია,
მზეა ქვეყნის სიყვარული,
მთვარე მისი მგოსანია!.."

ამბობს პოეტი ლექსში „იის სიმღერა." მაგრამ საკმაოა, ბუნებამ ფერი იცვალოს, რომ პოეტის აღმაფრენაც მოკვდეს, ლექსმაც სიცოცხლე და სილამაზე დაჰკარგოს და უფეროულ რითმათა გუნდად იქცეს, გუნდად, სადაც არ მეტყველებს სული პოეტისა:

„არ აგვისრულდა წადილი
ბუჩქი ეკლებმა შემოსეს,
**ძალიანც შეეფეროდა
შავის დემონის გემოს ეს**".
(იხ. „დავმარხეთ")

აქ შემოქმედების ნატამალი არა სჩანს, იგი პირდაპირ მკვდარია ამ შემთხვევაში და მკითხველსაც გული გტკივა, რომ ამ უმზგავსო ლექსის ქვევით მოწერილია: „ზომლეთელი".

ასე ჰკარგავს ძალას პოეტის შემოქმედება, როცა დამსხვრეულ იმედის წინ სდგას, როცა დამჭკნარ ყვავილებს ჰხედავს, დღეს ამ ყვავილებს:

„შორის მხარისკენ გადასროლილებს,
ზოგს ფლობს ტალახი, ზოგს მალავს
სილა".

თქვენ აქაც ვერ ამჩნევთ პოეზიის ნასახს. აქედან ცხადია, რომ ის „ტკბილი წამალი", რომელსაც ასე გულმოდგინედ ეძიებს პოეტი თავის სევდის გასაქარვებლად და ტკივილების დასაამებლად—ბუნების ლხენის ხილვაშია.

ეს წამალი ტკბილი და იაფფასიანია, მაგრამ აქვე ამჩნევთ, რომ იგი დროებითა ჰშველის და სამუდამოდ კი ვერ ჰკურნავს. საკმარისია ბუნებამ ფერი იცვალოს, ტკბილი წამალი ძირამდე შეჰსვა, რომ უფრო მეტის სიძლიერით იგრძნო ტკივილები, სევდა და საკუთარი უმწეობაც...

სამწუხაროდ, ბ-ნი ზომლეთელი ხშირად თავის ნიჭს ძალას ატანს და „ტკბილ წამალს" იქ დაეძებს, სადაც მისი პოვნის უნარი არ შესწევს. ასეთ ადგილას მისი ლექსი ბინებრიობას ჰკარგავს და უბრალო და უსიცოცხლო „ჰექა-ქუხილად" იქცევა.

უბედურება ის არის, რომ პოეტს ჰგონია თითქოს ნამდვილ ჭეშმარიტების აზრს, რომელიც იხსნის დაჩაგრულთა ბანაკს, ამ აზრს მისწვდა და ისიც თავგამოდებით ქადაგებს ამ, მისთვისაც გაურკვეველ მცნებას, მრწამსს, და დააკვირდით რა უსიცოცხლო და უფეროულია ეგ, ქადაგი... მაგრამ პოეტს მაინც ჰგონია, რომ.

„ვისიც გულს **უკვე** ჩასწვდა ეს
მცნება,
**უკვე** შეერთდენ ვით ჩანგი, ქურა
მათი ერთობის წესი, კანონი
თვითონ ცხოვრებამ დაადასტურა.
და ვისაც მცნება სიყვარულისა
გულით არა სწამს, არ უწერია
ის გაჩენილა ცხოვრების **მლილად**,
იგი სავსებით ჩვენი მტერია".

და ამგვარ ესთეტიურ უმსგავსოებას ჩვენში მოქალაქობრივი მოტივების სახელით ფრიად დიდი გასავალი აქვს.

პოეტი ამ უკეთესის მომავლის მხილებაში, მის გამომჟღავნებაში ჰხედავს თავის დანიშნულებას და თავის წყლულთა წამლის იმედიც აქა აქვს.

პოეტი თავის თავის დახასიათებას სცდილობს და ამბობს:

„ხელში ავიღე ჩანგური, სიმებს
ჩამოვკარ თითები,
შევაკოწიწე ერთმანეთს **ნაძიძგნი
გულის ფლითები**"..

აქ ცხადია პოეტს არ ესმის-რა განსხვავებაა სამწვადეთ „ნაძიძგნ" ხორცის „ფლითები"-ს „შეკოწიწებისა" და პოეტურ ღელვა-ტეხილე-

*) იხ. „სახ. გაზ." № 749.

„ცნობის ფურცელში“. პედაგოგობამ იგი ცხოვრებას არ მოსწყვიტა და გულის ტკივილით ადევნებდა თვალყურს ჩვენს უფერულ ცხოვრებას. ქართველ ერის სასიხარულო რამ მისი პირადი დღესასწაული იყო, სამწუხარო და სავალალო კი მიზეზი დაღონებისა. ქართულ გიმნაზიაში მასწავლებლობის დროს **არისტომ**, როგორც მოწაფეები ეძახდნენ, დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა მოწაფეთა შორის. განსვენებული ხშირად უკითხავდა ქართველ ბელეტრისტების ნაწერებს მოწაფეებს. ამ დროს მთელი კლასი სმენად გადაიქცეოდა ხოლმე. როცა ბავშვების თვალები ან დაღონებას ან სიხარულს გამოსთქვამდნენ ხოლმე, არისტოს სიხარულის ელფერი გადაჰკრავდა. იგი მოაჯადოვებდა ხოლმე მოსწავლეებს თვისი არტისტული კითხვით.

არისტო არ იყო არა ჩვეულებრივი ადამიანი, მაგრამ ის იყო მაღალ ზნეობიანი პიროვნება, გულწრფელი ადამიანი და ბავშვების მოყვარული პედაგოგი.

საუკუნო იყოს ხსენება შენი, პატიოსანო მოხუცო!

# სათათბიროს გარშემო

**თავ. ვოლკონსკი—მეორე სათათბიროს თავმჯდომარე.**

დიდად შესაძლებელია თავმჯდომარის ალაგი მეოთხე სათათბიროში დაიჭიროს თავ. ვოლკონსკიმ. მის კანდიდატურას მხარს უჭერს როგორც ცენტრი, ისე მარჯვენა ფრთაც. საკითხია—ვინ იქნებიან პრეზიდიუმის წევრებად. ასახელებენ ბალაშოვს თავმჯდომარის უფროს ამხანაგად; მაგრამ მისი ხელიდან გაშვება არ უნდათ ნაციონალისტებს, როგორც ლიდერისა. ადვილად მოსალოდნელია თავმჯდომარის ამხანაგად აირჩიონ ლევაშოვი.

**სათათბიროს მდივანი.**

სათათბიროს მდივნად ასახელებენ ანტონოვს, მაგრამ მას უარი განუცხადებია. მის ნაცვლად ასახელებენ სინადინოს.

**კოკოვცევის დეკლარაცია.**

ხმებია, კოკოვცევი დეკლარაციას სათათბიროს გახსნის დღეს კი არ წაიკითხავს, არამედ მაშინ, როცა სათათბირო თავის კალაპოტში ჩადგება. არჩეული იქნება თავმჯდომარე და პრეზიდიუმის წევრნიო. კოკოვცევს დეკლარაცია ვრცლად აქვს შემუშავებულიო.

**პურიშკევიჩი ლევაშოვს ამხნევებს.**

ლევაშოვს ჯერ ოდესის უნივერსიტეტი არ მიუტოვებია, ეშინიან არჩევნები არ განასაჩივრონო. ამის გამო პურიშკევიჩმა დეპეშა გაუგზავნა ლევაშოვს, და ამხნევებს: არჩევნები განსაჩივრებული არ იქნებაო.

**მთავრობა სამზადისშია.**

რადგანაც მთავრობა მოელის სათათბიროში შეკითხვას ადმინისტრაციის მოქმედების გამო, კოკოვცევმა დაავალა გუბერნატორებს შეიმუშაონ მასალა არჩევნებისაო.

# სხვა და სხვა ამბავი

**ერვიე რომსა და პეტერბურგში.**

ცნობილი სოციალისტი ერვიე რომში წავიდა ომის საწინააღმდეგო ლექციების წასაკითხად. ჩასულა თუ არა რომში, დაუტუსაღებიათ. როცა ერვიემ პროტესტი განაცხადა უპასუხეს: თქვენ ხომ დემოკრატიულ ქვეყნიდანა ხართ და როგორ ითხოვთ პრივილეგიებსო? ეროვიე ჰყავნდათ დატუსაღებული მთელი ღამე და მეორე დღეს გააცილებს იტალიის საზღვრებს. ერვიე პარიზში დაბრუნდა. მეგობრებს ეუბნებოდა: „რომში თავი ისე ვიგრძენი, თითქოს პეტერბურგში ვყოფილიყავი. უფრო კარგი იქნებოდა იტალიის საზღვარს არ გავცილებოდი; თორემ შემიშვეს რომში რომ უკანვე გამოვესტუმრებინეო.

**შლისელბურგის ციხის მეთვალყურის მოკვლა.**

7 ნოემბერს, შლისელბურგის ტუსაღები მუშაობის დროს უეცრივ თავს დაეცნენ ციხის მეთვალყურეს, მოჰკლეს, წაიღეს იარაღი და მისი ტანისამოსი, გადაძვრნენ ციხის კედელზე, ჩასხდნენ ნავში, გავიდნენ ნაპირას და მიიმალნენ.

**გაფიცვა პროტესტის ნიშნად**

9 ნოემბერს პეტერბურგის ქალთა უმაღლეს კურსების მსმენელებმა, საკულინის ლექციის შემდეგ, გამართეს კრება და დაადგინეს ერთი დღით გაიფიცნენ ნიშნად პროტესტისა:

**ტოლსტოის სიკვდილის 2 წლისთავი.**

პეტერბურგში ტოლსტოის ხსოვნის აღსანიშნავად სალიტერატურო ფონდმა გამართა საღამო. საღამოს ხალხი აუარებელი დაესწრო. სიტყვა სთქვა მაქსიმე კოვალევსკიმ და აღნიშნა, რომ ტოლსტოი უფრო შორს წავიდა ვიდრე მისი მასწავლებელი რუსოო. რუსო მომხრე იყო უფლებრივ ძალადობისა, ტოლსტოი კი ჰქადაგებდა,—ბოროტებას ნუ ეწინააღმდეგებითო. რუსოს იდეალი პოლიტიკურია, ტოლსტოისა კი ზნეობრივი და რელიგიურიო.

სიტყვები წარმოსთქვეს სხვა ორატორებმაც. წაიკითხეს მსახიობებმა ტოლსტოის დრამების სცენები.

**ქალთა მიტინგი.**

პეტერბურგში გაიმართა ქალთა ნებადართული მიტინგი. განსახილველი იყო საკითხი ქალთა თანასწორობისა. სიტყვები წარმოსთქვა ბევრმა, მათ შორის შინგარევმაც. პოლიცია დიდ ფაცა-ფუცში იყო. ბევრი დარბაზში არ შეუშვეს.

* * *

ძლვნად კ. მაყაშვილს.

ფრთა მეძგარი, ნიავ-ქარი, შიშველ მთებში სისინებდა,
ტყის ობლობას, უფოთლობას, მოსთქვამდა და ქვითინებდა...
მე ვსტიროდი, ჩემთან ერთად, ვალალებდა გული კრული,
ციურ ცრემლით ცრემლსა ვღვრიდი, ივსებოდა კლდის უფსკრული...
ბულბულს ვარდი დასჭკნობოდა, ვარდი ტურფად გაფურჩქნული,
ტრფობით ეკლებს დაჰკვროდა, გაბასრული ჰქონდა გული...
ვსტიროდი და არ მწყდებოდა უნუგეშო ცრემლი ცხარე,
გლოვად ვიდექ... დახრილ მხრებზე ჯანყს მახვევდა არე-მარე...

ბ. ქუჩიშვილი.

# ბალკანეთის ომი

**დეპეშები.**

**ბულგარეთის მხრივ**

**სოფია.** ოსმალები ერთხელ კიდევ შეეცადნენ ადრიანოპოლის ციხიდან გამოსვლას ბულგარებზე თავდასასხმელად, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. ბულგარები უფრო ახლო მიუახლოვდნენ ქალაქს.

**სტამბოლი.** ამ ბოლო დროს გახშირდნენ ოსმალელი მფრინავნი, რომელნიც ბულგარების მოძრაობას თვალ-ყურს ადევნებენ.

იზეტ-ფაშა იტყობინება, ოსმალეთის ჯარს თან და თან მაშველი ჯარი ემატებაო.

**ოსმალეთი.**

**სტამბოლი.** დაატუსაღეს 400 ახალ-გაზდა ოსმალო. მათ აბრალებენ ჯარში პროპაგანდის გაწევას, არ დაემორჩილონ მთავრობის ბრძანებას და ამზადებდნენ სულთანის და სახელმწიფო მოღვაწეების მკვლელობასო.

**ათინა.** კვირას ბერძნებმა კუნძული ციოხი აიღეს.

**სტამბოლი.** რადგანაც სატახტო ქალაქი მოპირდაპირეთა შიშის ქვეშ იმყოფება, მთავრობამ გასცა ბრძანება მიიღონ ყოველივე ზომები ქალაქის გასამაგრებლად.

**სტამბოლი.** ებრაელები აგიტაციას ეწევიან, რათა ოსმალეთმა სალონიკი ბალკანეთის სახელმწიფოებს არ დაუთმონო, თურმე ბერძნები საშინლად ავიწროებენ ებრაელებს.

კონიის ვილაეტში ქურთებმა რამდენიმე სომეხი მოჰკლეს. სან-სტეფანოში აუარებელ ავადმყოფებს მოუყრიათ თავი. ექიმები არ არიან. საშინელ სურათს წარმოადგენს ავადმყოფთა მდგომარეობა.

**საზავო მოლაპარაკება.**

**სტამბოლი.** ადრიანოპოლი არის მთავარი მიზეზი დელეგატების უთანხმოებისა. 12 ნოემბერს ბაჩჩიოკში გაიმართა მოლაპარაკება. პორტას იმედი აქვს მოლაპარაკება 48 საათში დასრულდეს.

**სოფია.** „მირის“ ცნობით, რწმუნებულთა პირველ მოლაპარაკების დროს დაადგინეს, მიანდონ ბულგარეთის და ოსმალეთის მთავარ შტაბებს დასდონ ორივე ლაშქრის მიჯნა, რომელსაც არ უნდა გადასცდეს აოც ბულგარეთის და არც ოსმალეთის ჯარი.

**გაზეთებიდან.**

**დროებით ზავი**

სტამბოლიდან იტყობინებიან: 9 ნოემბერს ჩათალჯისთან უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს მეომართა დელეგატები დროებითი ზავის ჩამოსაგდებად. ოსმალეთის მხრით დანიშნულია მთავარსარდალი ნაზიმ-ფაშა, გარეშე საქმეთა სამინისტროს მდივანი იზამი და მთავარ შტაბის უფროსი, ხოლო ბულგარეთის მხრივ—მთავარსარდალი სავოვი, პარლამენტის თავმჯდომარე დანევი და მთავარ შტაბის უფროსი. ოსმალოებს გადაუწყვეტიათ არ დაუთმონ ადრიანოპოლი, იანინი და სკუტარი; მათ განზრახვა აქვთ მოითხოვონ ბულგარელების უკან დახევა კირკილისემდე; საზღვარი დათმობილი ადგილებისა, მათი წინადადებით, ეგეის ზღვის ენოსის ყურიდან იწყება, შეჰყვება მდ. მირიცას ადრიანოპოლამდე, მოუხვევს კირკილისესკენ და თავდება ქ. მიდიასთან შავი ზღვის ნაპირას. ბულგარელები უარსყოფენ ასეთ წინადადებეს და მოითხოვენ შემდეგ საზღვრებს: ბუიუქ—ჩეკმენჯეს კონცხი—ქალემკიო—დერკოსის ტბა; ამის გარდა ოსმალთა ჯარმა უნდა დაიხიოს უკან სან-სტეფანო ქიათხანეს სიმაგრეებამდე. შეთანხმება მეტად ძნელია წინადადებათა სხვა და სხვაობის გამო. ოსმალები ჯიუტობენ, რადგან იმედი აქვთ ბულგარელების დასუსტებისა.

**უკანასკნელ წუთს**

სოფიიდან იუწყებინა: დელეგატების შეთანხმება ვერ მოხერხდა. ბრძოლა კვლავ განახლდა.

**ჩათალჯის ბრძოლა.**

სოფლიიდან ცნობაა: იმ წამსვე, როდესაც ოსმალეთის დელეგატებმა უარჰყვეს ბულგარელების წინადადება, დაიწყო ფიცხელი ბრძოლა ჩათალჯის მთელს გამაგრებულ რაიონზე. დერკოსის ტბასთან ბულგარელებმა სასტიკი იერიში მიიტანეს და შეეცადნენ სიმაგრეთა პირველი რკალის გარღვევას. შეტაკებანი უკვე ჩათალჯის სიმაგრეთა იქით მხარეზე სწარმოებს, სან-სტეფანოს მიდამოებში. ბულგარელები ერიდებიან საერთო იერიშის დაწყებას, სანამ სერბიისა და საბერძნეთის ჯარი არ მიეშველებათ, რომელნიც უკვე ახლოს არიან. გუშინ ღენ. კუტინჩევის ჯარმა აიღო კიდევ სამი ძლიერი სიმაგრე.

**ადრიანოპოლის ალყა.**

ადრიანოპოლის დღეები დათვლილია. საალყო რკალი თან და თან ვიწროვდება. მცხოვრებნი და მეციხოვნე ჯარი უსურსათობისა გამო დიდ გაჭირვებას განიცდიან. ოსმალნი თითქმის ყოველ დღე ცდილობენ გამოხტომასა და ალყის გარღვევას, მაგრამ ყოველთვის დიდი ზარალით ბრუნდებიან უკანვე.

**სერბიის მხრით.**

**ქ. ფლორინის აღება.**

უსკიუბიდან იუწყებიან: სერბიის ცხენოსანი ჯარი, რომელიც ქ. ფლორინისკენ (შიდა ალბანეთი) მიდიოდა, წამოეწია ოსმალთა თერთმეტ ბატალიონს და სრულიად გასწყვიტა. სერბიელებმა დაიჭირეს ფლორინი.

# ბალკანეთი და ევროპა

**დეპეშები**

**რომი.** სააგენტოს კორესპონდენტს, სარწმუნო წყაროდან შეუტყვია, რომ იტალიის დიპლომატიას მოლაპარაკება აქვს ავსტრიის მთავრობასთან, რათა ავსტრია-სერბიის უთანხმოება იარაღით არ გადასწყდეს. თუმცა იტალია ავსტრიაზე ნაკლებად არ არის დაინტერესებული ალბანეთის საკითხით, მაგრამ კომპრომისზე მუდამ მზად არის.

**ცეტინიე.** დურაცოში შეიკრიბნენ სათათბიროთ კასოვის ველის ალბანელთა წინამძღოლობით. იქ ითათბირეს და გადასწყვიტეს, ალბანეთის ავტონომია გამოცხადდეს ავსტრია-ჰუნგრეთის მფარველობის ქვეშო.

**ვენა.** გაიმართა მიტინგი გერმანელ მეურნეთა. მიტინგს დაესწრნენ დეპუტატები გერმანელი პროგრესისტები და პანგერმანელები. გამოითქვა აზრი პარლამენტში სამხრეთ სლავიანთა წინააღმდეგ, ობსტრუქცია არ მოახდინონო. მიტინგის შემდეგ მოხდა დემონსტრაცია, ბრბო ყვიროდა: „ძირს სერბია, ძირს რუსეთიო!“ მოხდა შეტაკება დემონსტრანტებსა და სერბიელ სტუდენტებ შორის.

**უსკიუბი.** ავსტრიის ვიცე-კონსული პროხასკი პრიზრენიდან მოვიდა სერბიის მთავრობის მფარველობის ქვეშა.

**ბელგრადი.** „სამოუპრავა“ გულმწუხარედ სწერს: ავსტრიის პრესამ არ დააცალა გამორკვეულიყო პროხასკის ინციდენტი და სერბიის მთავრობას ავსტრიის მიმართ მტრული განწყობილება დასწამაო.

**ლონდონი.** რეიტერს შეუტყვია, რომ ის უიმედობა, რომელიც შემჩნეულია ზოგიერთ სატახტო ქალაქებში და პრესაში სრულიად უმიზეზოა. სახელმწიფონი მორიგების გზაზე დგანან და უთანხმოებას თვისი სიმწვავე დაეკარგაო.

**გაზეთებიდან.**

**ზავი და ავსტრიის ოინები.**

სტამბოლიდან „უტრო როსიის“ სწერენ: ოსმალეთის გაჯიუტება ავსტრიის ბრალია, რადგან ავსტრიისა და გერმანიის ელჩები არწმუნებენ ოსმალეთის მთავრობას, ნუ დაუთმობ მოკავშირეებს და ჩვენი დახმარების იმედი იქონიეო, ავსტრიის ელჩის პალავიჩინის აზრით, ზავის პირობების მიღება ყოვლად შეუძლებელია, თუ წინ და წინვე სახელმწიფოებმა არ განიხილეს იგინი. პალავიჩინი აიმედებს ოსმალეთს: თუ რუსეთსა და ავსტრიას, ან სერბიასა და ავსტრიას შორის ომი ასტყდება, ბალკანეთის მოკავშირეთა ძალა გაიყოფა და მაშინ, შესაძლოა, ოსმალეთმა ისევ „სტატუს ქვოს“ დაცვის საჭიროება წამოაყენოსო.

**კავშირის დარღვევის განზრახვა.**

კონსტანტინოპოლიდან იუწყებიან: ავსტრიის რჩევით, ოსმალეთის მთავრობა ყოველ ღონისძიებას, ხმარობს რომ საბერძნეთი როგორმე ჩამოაშოროს ბალკანეთის კავშირს. ათინას გაიგზავნა ნადეპუტატარი გონეოსი, ხოლო სალონიკს „ნეოლოგისის“ რედაქტორი სტუდირასი, რომელთაც დავალებული აქვთ მოლაპარაკების გამართვა. განზრახულია, საბერძნეთს დაუთმონ: ეპირის ოლქი, კუნძული კრიტე და ავტონომიურ მაკედონიაში საბერძნეთის ერთ-ერთი პრინცის მთავარმართებლად დანიშვნა.

**ბულგარელები უეჭველად შევლენ სტამბოლში**

ბულგარეთის ოფიციოზი „მირი“ სწერს: „ახლა აღარც ხოლერა და აღარც სხვა რამ დაუშლის ბულგარეთის ძლევა-მოსილ ჯარს სტამბოლში შესვლას და ოსმალთა აზიაში განდევნას. ხოლერა ვერ შეაშინებს კულტუროსან ერს, რომელიც შესძლებს მასთან ბრძოლას!

**რუსეთი სომხებს იცავს.**

პეტერბურგიდან „რუსკოე სლოვოს“ატყობინებენ: რუსეთის ელჩმა განუცხადა ოსმალეთის მთავრობას: თუ კვლავ გაგრძელდა ქურთებისაგან სომხების დარბევა, რუსეთი სასტიკი თავგამოდებით დაიცავს ოსმალეთის სომხებსო.

**ავსტრია და სერბია.**

ბერლინიდან იუწყებიან: სახელმწიფოებმა გადაჭრით განუცხადეს სერბიას, რომ იგინი ადრიატიკის ნავთსადგურების დაჭერას სერბიის ჯარის მიერ დროებით მოვლენად სთვლიან. ავსტრია მხოლოდ მაშინ მიჰმართავს დემონსტრაციას, თუ მის ინტერესებს იქ რაიმე ზიანს მიაყენებენო.

**სერბია პასუხს აგვიანებს.**

ვენიდან იტყობინებიან: პაშიჩის მიერ პასუხის დაგვიანებას რუსეთის ხრიკებს აწერენ; ხმა დადის, რომ ავსტრია ამ დღეებში პასუხის დაჩქარებას მოსთხოვს სერბიასო. გაზეთები აღნიშნავენ, რომ მდგომარეობა მეტად გართულებული და გამწვავებულიაო.

**ავსტრიის მობილიზაცია.**

„ფოსიშე ცეიტუნგი“ სწერს: მიუხედავად ყოველგვარი უარყოფისა, ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლიან გამოვაცხადოთ, რომ ავსტრია დიდ მობილიზაციას ამზადებს. თუ რამდენია სამობილიზაციო ჯარის რიცხვი, რასაკვირველია, ჩვენ ამას ვერ გაგამოვაქვეყნებთ, მაგრამ ვიტყვით კი, რომ მოწვეულია სამი უკანასკნელი წლის სათადარიგონი.

**ლონდონის ბირჟაზე.**

ლონდონიდან ცნობაა: გაზ. „ეშანე ტელეგრაფის“ ცნობამ, რომელიც ავსტრიის სამ კორპუსის მობილიზაციას ეხება, დიდი მღელვარება გამოიწვია ლონდონის ბირჟაზე. ამ ამბავს უკავშირებენ იმ ხმას, თითქოს სამთა კავშირს მოეთხოვოს, რომ სანამ მეომარნი ზავის პირობებს ხელს მოაწერდნენ, იგი სამთა კავშირის სახელმწიფოებს უნდა წარედგინოს განსახილველად, რათა შიგ იტალიისა და ავსტრიის ინტერესების საწინააღმდეგო არა გაიპაროს რაო.

**ვენაში დიდი მზადებაა.**

ბუდაპეშტიდან იუწყებიან: ვენის არსენალებში გაცხარებული მუშაობაა. სერბიისა და რუსეთის საზღვრებზე ყოველ დღე იგზავნება 50 ზარბაზანი და ეკლიანი მავთულების ტრანსპორტები. ახლად მოწვეულ სათადარიგო არტილერისტებს სიჩქარის გამო მხოლოდ პრაქტიკულ სროლას ასწავლიან. ვენის ხუთ ხიდს სასტიკად სდარაჯობენ, რადგან, როგორც ხმა დადის, სერბიის ჯაშუშებს თითქოს მათი აფეთქება განეზრახოთ.

**გალიციაში შიშიანობაა.**

კრაკოვიდან ცნობაა: მდიდრები საშიშარ მდგომარეობის მიზეზით ვენაში იხიზნებიან, თან მიაქვთ განძი და ძვირფასეულობა.

**რუმინიაში.**

ბუქარესტიდან იტყობინებიან: ხმა დადის, პლოეშტაში დაბანაკებული დივიზიები შეიარაღესო.

**გერმანიაში.**

ვენიდან იუწყებიან: გერმანიამ შესამჩნევად გააძლიერა რუსეთის საზღვრების გარნიზონები.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

**საზღვარ-გარედ**

**14 ნოემბერი.**

**შრუკლინი.** „უნიონ სულფურუორკსის“ ქარხანას ცეცხლი მოეკიდა. დაშავებულია 40 კაცი. ბევრი უგზოუკვლოდ დაიღუპა.

**თეირანი.** კაბინეთის გამოცვლის ხმები არ გამართლდა.

**ვოკეპანი.** სახამებელის ქარხანას ცეცხლი გაუჩნდა დაიღუპა 23 კაცი.

**პატრიარქის გარდაცვალება.**

**სტამბოლი.** გარდაიცვალა მსოფლიო პატრიარქი იოაკიმი.

**რუსეთი**

**პეტერბურგი.** დაიჭირეს გაზეთი „ლუჩი“. გაზეთის რედაქტორი დააჯარიმეს 350 მანეთით.

**კიევი.** მაძებარ პოლიციის ყოფილი უფროსი კრასოვსკი სამართალში მისცეს.

**რიგა.** გამოვიდა მხოლოდ ერთი რუსული გაზეთი. 20 სტამბა ჯერ ისევ გაფიცულია.

**პეტერბურგი.** ფინანსთა მინისტრმა გადასცა განსახილველად მეფის მოადგილეს კავკასიაში და თურქესტანის გენერალ გუბერნატორს სამხედრო გადასახადის საკითხი განაპირა ქვეყნებში. სახალხო განათლების მინისტრმა დაავალა სამოსწავლო ოლქების მზრუნველებს გააფრთხილონ კერძო სასწავლებლების გამგენი, რომ თუ ვინიცობაა, არ დაიცვეს წლოვანობის საერთო კანონი, მოწაფეების მიღების დროს სასწავლებლები დაიკეტება.

**მოსკოვი.** დაიჭირეს „რუსკია ვედომოსტის“ 262 ნომერი.

**მოსკოვი.** გარდაიცვალა სამხატვრო თეატრის მსახიობი ბრავიჩი.

---

ბის მრავალფეროვან ღრმა განცდათა ჩამოქანდაკებების შორის.

გადადის რა პოეტი თავის დანიშნულებაზე, აღნიშნავს, რომ მისი ჩანგი „ჩაგრულთა ბანაკს“ ემსახურება:

„რაზედ სწუხს ჩაგრულთ უბანი?
აი, საკითხიც ესაა!
**ამის უსიტყვო პასუხი**
**სიმებო თქვენი კვნესაა.**“

რაში გამოიხატება „ჩაგრულთა ბანაკის“ სამსახური პოეტის აზრით? მას საამისოდ საკმაოდ მიაჩნია „გაამუქოს“ ქვეყნად გაეფებული უკუღმართობის სურათი და ამ დაჩაგრულთ უკეთესი მომავალი დაუსახოს, „ტკბილი წამალი“ უპოვოს.

ამ „უკუღმართობას“ აი ასე აგვიწერს პოეტი, რომელსაც შეფელმა „მომავალი“-ს ფურცლებზე სოფლის ცხოვრების მესაიდუმლე უწოდა:

„დაიჭირეს ოცამდე კაცი მართალიო
. . . . . . . . . . . . .
მოითხოვს ბოქაული გლეხთა ყრილობასო
და უკითხავს უფროსის მოწერილობასო
სოფელი რო „ბუნტობს“ ეგზეკუციაო
იმის დასაცხრობათა ღმერთს მოუციაო“.
„ბოჰავენ ფულს“ — განაგრძობს პოეტი,
„სოფელი კი არ ილევაო,
სჩანს სოფელში დიდია **სიმდიდრე** შეძლებაო!
სოფელი, ვით საფქვილე ჯვალის ტომარაო,
რამდენიც დაფერთხო სულ ქეა ფარაო.
ფერთხავენ... ფერთხავენ სოფელს, თითქოს ჯვალოო....
**ნუ თუ ამდენ წამებასა არა აქვს ბოლოო?!**“

ეს უკანასკნელი სტრიქონი რომ პოეტს არ მიეწერა, უეჭველია, გაურკვეველი ბ-ნ ზომლეთელის მიერ „ნაცოხნ“ პოეზიით, თვითონ, ნაწამები მკითხველი დაუმატებდა. ბ-ნ ზომლეთელის ლექსებში ხშირად შეხვდებით თავგამოდებულ ბრძოლის ყიჟინას: „დავლეწოთ, დავამსხვრიოთ, გავანადგუროთ“ და სხვ., თითქოს პიროვნება და ადამიანთა კრებული უძლეველ რაიმედ მიაჩნდეს, თითქოს ადამიანის რწმენა და ნება საკმაო იყოს ყველაფრისათვის, მაგრამ ეს მხოლოდ ერთ ადგილას: გადაფურცლეთ კიდევ და თქვენ სულ წინააღმდეგ აზრს დაინახავთ ამ ლექსებში. სასტიკი ბედის წერა, ულმობელი კანონი ჰფლობს სავსებით ადამიანს და უკანასკნელის ცდა განსათავისუფლებლად მუდამ უნაყოფოდ დარჩება:

„ბედმა ტალახის გუნდა მესროლა
ბნელის კუთხიდან ავაზაკურად,
მე **ის პირველი კი ავიცდინე**
და ისევ დავრჩი კაცი კაცურად,
მაგრამ შემდეგ ის **მეორეს** მესვრის,
შემდეგ **მესამეს**, მერე კიდევ
სხვას...“ და სხვ.

და ეს უხილავი ძალა, რომელიც ცხოვრების საიდუმლო აზრს შეადგენს მანამ არ მოუსვენებს ბ-ნ ზომლეთელს და მანამ ესვრის ამ ტალახის გუნდას „კიდევ და კიდევ მერე კიდევ სხვას“ (?!), სანამ სავსებით არ ჩაქოლავს მას.

ასეთი მკაცრია ბედის წერა: თქვენ გინდათ განყენებული მსჯელობა, ფილოსოფიური დასაბუთება პიროვნების არარაობისა? ზომლეთელი არც აქ დაიხევს უკან და ასეთ „აფორიზმს“ გესვრისთ, რომელიც მატერიალისტთა ფილოსოფიის ქვაკუთხედია:

„.... აი სიცოცხლის ტრიალი,
შენ მასში რა ხარ? **წერტილი!**
ამა თუ იმ გვარ ყალიბში
**ჩამოსხმულ-ჩამოწრეტილი?**“

ამ გვარ „პოეზიას“ ვუწოდებ მე, კუდმოკვეცილ პროგრამის „წერტილებზე, ჩამოსხმულ-ჩამოწრეტილს“.

აქ პოეტს საშინელი ძალა დაუტანებია თავის თავისათვის და, ასე ვსთქვათ, ლექსი „გაუკეთებია“... ამ შემთხვევაში იმ სადა განცდასა და ბუნებრიობას, რომელზედაც მკითხველს დასაწყისში მივუთითე, სავსებით ჰკარგავს და უსიცოცხლო, უშნო ჩონჩხად იქცევა.

ასეთ ადგილას პოეტს აღმაფრენა სტოვებს და იგი ხშირად, უმწეობის გამო, ერთსა და იმავე სახეებს მიმართავს და თითქმის სავსებით, სიტყვა-სიტყვით იმეორებს წინად ნათქვამს. ამგვარი ადგილები ზომლეთელის ლექსებში ბევრია, მოვიყვან მხოლოდ ერთს:

ცისა ღრუბელს მეხი **დაფხრეწს**,
ხმალს გაავლებს ყველგან ელვა“...
და სხვა,

ამბობს ერთ ადგილას პოეტი და რამდენიმე ხნის შემდეგ ამგვარის ვარიაციით იმეორებს იმავეს:

„**გადააფხრეწს** ცას პირბადეს,
ხმალს გაავლებს ყველგან მკვეთრად“...

ამგვარადვე განმეორებულ სახესა და რითმებს ჰპოებთ ლექსებში „ჩანგურს“, „იის სიმღერა“ და სხვა, აქ „მგოსანს“ ყოველთვის „სოსანი“ მოზდევს... საბრალო ყვავილი! რა ცოტა სცხია მას მგოსნობისა..

მინდა ამ მრავალ წერტილზე შევჩერდე, მაგრამ შეიძლება ზოგმა ცალმხრივობა დამწამოს (რასაც ასე გავურბი) და იფიქროს—თითქოს მე მეტად სასტიკად მოვეპყარ ბ-ნ ზომლეთელს.

ეს აზრი სწორი არ არის, რადგან მე თავიდან აღვნიშნე, რომ ზომლეთელი ნიჭიერი მელექსეა და ზოგ ადგილას მკითხველს ნაზ სიამესაც ჰგვრის; მაგრამ ეს მაშინ ხდება, როცა იგი იმ მხარეს მიჰმართავს, რომელიც ადამიანის წყლულთა განსაკურნავად დიდ მასალას და ფარულ ძალას იძლევა—ეს არის ბუნების წიაღი... როცა ავტორი მის ზეიმს ჰხედავს, გულიდან ვარამი ეცლება და მისი სიმღერაც ლაღია, სადა და ბუნებრივი... აქ იგი ბუნებას ტკბილ ნექტარს წუწნის. და იგი იმდენად ძლიერია ამ „**ტკბილი წამლის**“ ძიებაში, რამდენადაც სუსტი და უძლურია „ცხოვრების უკუღმართობის“ აღწერაში.

ვუსურვებთ—მალე მიეგნოს ამ სწორ გზისათვის ბ-ნ ზომლეთელს...

**აკაკი პაპავა.**

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** დღეს, 15 ნოემბერს ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული ლეგენდა თ. ალ. სუმბათაშვილისა „ღალატი“ თარგმანი გრ. ყიფშიძისა. როგორც უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა, „ღალატისათვის“ დამზადებულია სრულიად ახალი დეკორაციები და მომქმედ პირთა ტანთსაცმელი. პიესასა სდგავს რეჟისორი ვალ. შალიკაშვილი ახალ mise-en-scène-ებით.

**ზუბალაშვილის სახალხო სახლი.** ქართულ სახ. წარმ. მმართ. წრემ მიიღო ნებართვა წარმოადგინოს სახალხო სცენაზე პიესა **„უსაქმოდ დარჩენილნი“** დრ. 4 მოქ. ბელოისა რომელმაც შემოიარა რუსეთის ყველა თეატრები.

ბ-ნი ალ. წუწუნავა უკვე შეუდგა მზადებას და ამთვის 18 დასდგავენ ამ პიესასა, როლები განაწილებულია „წრის“ საუკეთესო სცენის-მოყ. შორის.

„წრის“ გამგეობამ ერთხმად გადასწყვიტა გაუმართოს დღესასწაული ნიჭიერ და დამსახურებულ სც.-მოყ. **ნიკო გოცირიძეს** ბენეფისის სახით.

**ბათომი.** ქართულმა დრამატიულმა დასმა მოგზაურმა წარსულ კვირას დასდგა „პატარა კახი“.

11 ნოემბერს ითამაშეს კომედია „კვალ და კვალ“ და „არც აქეთ არც იქით.

17 ნოემბერს დანიშნულია ახალი პიესა ნინო ნაკაშიძისა „ვინ არის დამნაშავე“.

რედაქტორ-გამომცემელი **ნ. კურდღელაშვილი.**

## გამოსადეგი ცნობა

### მატარებელთა მისვლა
(ზამთრობით).

**15 ოქტომბრიდან.**

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8,** სად. ს. 26 წ. **ჩქარი № 2,** დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო № 4,** ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ. № 6,** ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი № 106.** სად. 7 ს. 20 წ.

**ბათომისაკენ: სახ. №№ 107,** დილ. 4 ს. 38 წ. **სახ. № 5,** ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ. № 3,** დილ. 9 ს. 50 წ. **სახ. № 4,** სად. 9 ს 4 წ. **სახ. № 11,** ღამ. 10 ს. 2 წ.

**ბაქოსკენ: ნარევ. № 106,** სად. 7 ს. 26 წ.

**ერევანისკენ: სახ.-საბ. № 8/7,** შუადღ. 1 ს. 6 წ.

**ჯულფისკენ: საფ. № 4/3,** ღამ. 1 ს. 11 წ.

**ყარსისკენ: სახ.-საბ. № 6/5,** სად. 8 ს. 10 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ. № 9/10 ნ,** ნაშ. 3 ს. 17 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან. ნარევ. № 107,** ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ № 5,** ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ. № 3,** დილ. 9 ს. **ჩქარ. № 1,** სად. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ. № 7,** დილ 11 ს. 55 წ.

**ბათომიდან: სახ. № 12,** დილ. 8 ს. 50 წ, **საფ. № 4,** ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ. № 6,** სად. 5 ს. 56 წ. **ნარევ. № 106,** დილ. 5 ს. 15 წ.

**ერევნიდან: სახ.-საბ. № 8/7,** სად. 5 ს. 28 წ.

**ყარსიდან: სახ.-საბ. № 65,** ნაშ. 1 ს. 28 წ.

**ჯულფიდან: სახ. № 43,** დილ. 8 ს.

**ბორჯომიდან: სახალ. № 9/10 ნ,** დილ. 11 ს. 22 წ.

**მიხაილოვიდან სურამში სახ.-საბარგ. № 61,** ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ № 63,** დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ. № 65,** ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ. № 67,** ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ. № 69,** სად. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ. № 71,** სად. 9 ს. 20 წ.

**სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ. № 6?,** ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ. № 62,** დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ. № 64,** დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ. № 66,** ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ. № 68,** სად. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ. № 70,** სად. 8 ს. 26 წ.

**ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77,** დილ. 5 ს. 28 წ. **სახ. № 79,** დილ. 10 ს. 14 წ. **სახ. № 81,** ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ. № 83,** ნაშ. 5 ს. 48 წ. **სახ. № 85,** ღამ. 11 ს. 58 წ.

**რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76,** დილ. ს. 25 წ, **სახ. № 78,** დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ. № 80,** ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ, 82,** სად. 6 ს. 55 წ. **სახ. № 84,** ღამ. 1 ს. 58 წ.

**ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო № 29/30,** ნაშ. 5 ს. 23 წ.

**შორაპნიდან ქუთაისს: სახ. № 27/28,** დილ. 8 ს. 30 წ.

**ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ. № 26,** დილ. 6 ს. 6 წ. **სახ. № 4 п,** დილ. 11 ს. 9 წ. **სახ. № 6,** სად. 5 ს. 1 წ. **სახ. № 8 п,** საღამ. 9 ს. 10 წ.

**სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3 п** შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ. № 7 п.** სად 7 ს. 24 წ. **სახ. № 5 п,** სად. 7 ს. 59 წ. **სახ. № 25 п,** ნაშ. 6 ს. 18 წ.

**ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ. № 18,** ღამ. 11 ს. 13 ს. **სახ. № 14,** დილ. 5 ს. 43 წ. **საფ. № 16,** ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. № 13,** დილ. 7 ს. 4 წ. **სახ. № 15,** ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ. № 17,** ნაშ. 5 ს. 47 წ.

**ნატანებიდან ბათომს: სახ № 17,** ნაშუად. 5 ს. 20 წ.

**ბათუმიდან ქობულეთში. სახ. № 18,** ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ. № 14,** დილ. 5 ს. 43 წ. **სახ. № 16,** ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომიდან ნატანებს: სახ. № 16,** ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

**მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. № 46,** ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ. № 65,** სად. 9 ს. 14 წ. **სახ. № 86,** დილ. 5 ს. 25 წ.

**ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. № 36,** ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ. № 55,** დილ. 5 ს. 58 წ. **სახ. № 76,** ღამ. 12 ს. 41 წ.

**პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.**

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1- მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12 ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.

## გემების მიმოსვლა
(ზამთრობით)

**15 ოქტომბრიდან,**

**შავ-ზღვაზე.**

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

**„ვაჭრობა-ნავოსნობის“** საზოგადოების გემები.

**ბათომიდან გადის:**

1) პირდაპირი, **საფოსტო გემი შაბ.,** და **კვირ.,** ღამ. 12 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარული:**

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.
№ 2. **პარასკეობ.,** შუაღამის 1 ს: 58 წ.
№ 1. **სახ., შაბათ.,** ნაშუადღ 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.,** ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომში მოდის:**

**ოდესიდან** პირდაპირი, **საფ., პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარული:**

№ 1. **ორშ.,** სად. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.,** სად. 8 ს. 58 წ.
№ 1. **სამგზ., პარ.** სად. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.,** სად. 6 ს. 40 წ.

**კასპიის ზღვაზე.**

**„კავკაზი და მერკური“** საზოგადოების გემებისა.

**ბაქოდან გადის:**

**კრასნოვოდსკს,** ყოვ.-დღე სად. 4 ს. 40 წ.
**ენზელს** პირდაპირი, **პარ.,** და **სამშაბ.,** ნაშუადღ. 4 ს. 40 წ.
ირგვლივ მოსიარული:
**ასტარას, ხუთშ.** ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

**ბაქოში მოდის;**

**კრასნოვოდსკიდან** ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
**ენზელიდა** ორშ. და პარ., დილ. 6 ს. 5 წ.
**ასტარიდან** კვირ., ირგვლ. მოს. დილ. 4 ს. 44 წ.

### უფასო საექიმო დახმარება
**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

### ქალაქის საავადმყოფოები
**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

### სასანიტარო ექიმები
**უბნები: 1, 2—9 პ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

0, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

## განცხადებანი


### ვეძებ ადგილს ძიძისას
ფასი მორიგებით. **მისამართი:** ქალ. ოზურგეთი ნიკო ჩიტაშვილთან.
3024.

### ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი
თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симон вой. Бульварны пер., 2, соб. д. 3121

### დაიკარგა
**სანადირო ძაღლი**

„პონტერის“ ჯიშისა, სახელად „ჯეკი“, ფერად თეთრი, ალაგ-ალაგ ყავის ფერ ნიშნებით, მარცხენა ყური წინიდან გაჭრილი აქვს. ვინც მოიყვანს მიხეილის ქუჩაზე, სახლი № 14, მიიღებს 10 მან. საჩუქარს. დამმალავს პასუხს ვაგებინებ კანონის წინაშე. 801

### იძლევა ქირით ორი სადგომი:
ზემო სართულში—5 ოთახი, ვანით, აივნით ქუჩისაკენ და სხ. მოწყობილობით. ქვემო სართულში—2 ოთახი სამზარეულოთი, წყლით, საკუჭნაოთი და სხ. ადრესი: ცერკოვნი პოდიომი № 8.

**იგივე სახლი ისყიდება.**

პირობების გაგება შეიძლება დვორნიკ გრიგორისთან, გოლოვინის პროსპექტზე № 8. 800

### ფეხსაცმელები
**თომა დ. ჯანყარაშვილის**

**მაღაზია-სახელოსნოში.**



მუხრანის ქ. № 2. ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ. მეხანიკური ნაწარმოები. 683.

### სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,
გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფელდოსარის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამე ... იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და ... ახლეებს ყოველ დღე, დილის 1—2 ს. ... მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი მ. გ. მიკირტუმოვი. 3037.

### ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დილით:**

„606“—11—12 ს. **შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგახაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბვეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინ. კანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**საღამოთი:**

**მ. გ. ბვეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის 1078 დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

### მუხრანის კერძო სამკურნალო
**საწოლი კრაოტებით.**

19 თელერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, **ტელეფ. № 370.**

დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ ექიმების მიერ:

| | | დილით: |
|---|---|---|
| შინაგანი სნეულებანი, ბავშვთა და ნერვიულ. | **სპექტიორი გ. მ.** | $8^1/_2$—$9^1/_2$ ს. |
| | **გაზაზოვი ა. ა.** | 10—11 ს. |
| | **იაშვილი ა. ო.** | 11—12 ს. |
| | **ლოლობერიძე გ. მ.** | $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. |
| [illegible] | **გრიგორიანი ა. ი.** | 11—12 ს. |
| | **მელკონიანი გ. ა.** | 12—1 ს. |
| | **ჯაში ი. ი.** | $9^1/_2$—$10^1/_2$ ს. |
| [illegible] | **გრიგორიანი ა. ი.** | 11—12 ს. |
| [illegible] | ექ.-ქალ. **საყვარელიძე დ. გ.** | 11—12 ს. |
| | **ლოლობერიძე** | $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. |
| [illegible] | **შტრეიხერი მ. ა.** | 12 $12^1/_2$ ს. |
| [illegible] | **შაპელნიკოვი გ. ი.** | $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. |

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606“** და **„914“**, ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 158

### ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
**ისყიდება შემდეგი წიგნები.**

| | |
|---|---|
| ფიზიოლოგიური ლექცია არეშიძისა . . . 20 კ. | ამბავი ცხოველთა სამეფოსი 50 „ |
| ტვინი და სული. გომართელისა 5 „ | კოპერნიკიდან დარვინამდე . 10 „ |
| ბუნება და ადამიანი დრეპერისა 5 „ | მიკროსკოპიულნი ორგანიზმნი 20 „ |
| ცა და დედა-მიწა ივანოვისა 20 „ | ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . . . 60 „ |
| მწვანე სამეფო ლუნკევიჩისა 20 „ | საქართველოს გეოგრაფია ვახუშტისა . . . 2 მან. |
| ჭიანჭველების ცხოვრება მისივე 15 „ | იგივე ნაწ. II „ქართლი“ ვახუშტისა . . . 25 კ. |
| ფიზიკა. ჰაერი და მისი თვისებანი, ალ. მირიანაშვილისა 15 „ | კალმასობა იოანე ბატონიშვილისა . . . 1 მან. |
| ბუნების ცოდნა. პოლბერისა 25 „ | მოგზაურობა წმ. ქალ. იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ კონჯავაშვილისა . . . 1 მან. |
| მეხის ამბავი ქივატოვსკისა . 15 „ | |
| ჰაერი და სითბო მისივე . . 15 „ | |
| როგორ საზრდოობს მცენარე 25 „ | |
| ქიმია. როსკოსი . . . 30 „ | |

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

### იმერული შამპანიური ღვინოები,
**ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა** ქუთაისში,

„კოლხიდა“ და „თამარა“

მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:

1) ვაგზლის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის სეგასტრონომიო მაღაზიაში და
2) მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.

ფასები 1—20 კ. 1 50 მან. ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენაზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. 660

### მოითხოვეთ სწორი და მკვიდრი საათი!
**სხვა იაფ ფასიან საათებს ნუ გამოუდგებით!**

**კარგსაათს ყოველთვის შერჩება თავისი ღირებულება.**

**პარიზის უკანასკნელი ახალი ამბავი!**



**საათი „ხრონომეტრი“-ს სისტემისა 5 მ. 25 კ.**

200 მანეთიან ოქროს საათის მაგიერი, „ხრონომეტრს“, რომელიც მოყვანილობით და მოხდენილობით ოქროსას არ ჩამოუვარდება. „ხრონომეტრის“ ლითონის კარგი ღირსებისაა და მის გამძლეობაზე 10 წლის თავდებობას ვკისრულობთ, რადგანაც ელექტრონის საშუალებით მისი სახურავი დაფარულია 14% კარატ. ოქროს სქელ სევადით. ეს საათი ნამდვილი შვეიცარიულია ახალი ოქროსი, კაცებისა თუ ქალებისა ხუფიანი სამ სქელ სახურავიანი, იმართება თავის ბულით 40 საათში ერთხელ, მუშაობს წკრიალით. 15 ქვიანი, პრტყელი, როგორც სურათზე მოსჩანს, ძალიან გავრცელებულია და მთელ ევროპაში მოდებული. საათის ფასი 5 მ. 25 კ. 2 ცალი—10 მ, 4 ცალი—19 მ. 50 კ. ფასები ნაკლები დავადეთ, რადგანაც გვინდა ყველას შევაძლებინოთ მისი შეძენა. გასაგზავნი, ბაჟიანად,—40 კ. (ციმბირში—75 კ.) ყოველ საათს უფასოდ ვაყოლებთ მოხდენილ ნამდვილ ახალ ოქროს ძეწკვს სურვილისამებრ ორკეცს, ბრელოკით და ჩამშის საათის ბუდით. საათს წუთი-წუთზე შესწორებულს ვგზავნით 6 წ. თავდებ, ფასდადებ. და უბეოდ.

| Берлинъ 35<br>Berlin | I. STRUMFELD<br>Klosterstr. № 42. |
|---|---|

მისამართი შეიძლება ამოსჭრათ და მავრად დააკრათ ღია წერილს ან კონვერტს. საათის დაბარება ყველა ენაზე შეიძლება. დახურ. წერილს 10 კ. მარკა სჭირდება. ღია წერილს კი 4 კ. მეტცლ. № 57911. 1579

### ქალ. გორის ბოლოში, (გორ. მაზრაში), „ბოდბეთში“,
### იძლევა იჯარით მამული:
**ორ-სართულიანი სახლი: გომით, სარდაფით** და სხვა **შენობებით,** ხეხილის ბაღით, ვენახით, საბოსტნე ადგილებით, სახნავი მიწით და საბალახოთი. მთლად მიწა 276 დესეტინა. სარწყავ წყლით იმყოფება საკუთრივ წყაროები; ეს მამული გამოსადეგია რძის ფერმის, ქარხნების და ფაბრიკების გასაშენებლად. თუ მსურველი აღმოჩნდება მამულის, გაყიდვაც შეიძლება. პირობების და ფასის გაგება შეიძლება ქ. ტფილისში, სოლოლაკში, ბებუთოვის ქუჩა № 46, **ალექსანდრე ივანეს ძე ყარალაშვილთან,** ან ქარვასლაში, სამანუფაქტურო საწყობში, ბეგლარ ვართანოვთან. 798



1553

**გამოსულია და იყიდება**

### არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი.

I „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი 75 კ.
II „ჩვენი საზოგადოებრივობა“ 80 კ.
III „ნააზრევი“ 65 კ.
IV „წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. 85 კ.

### გამოსულია და იყიდება
**ი. გედევანიშვილის პიესა**

### „გამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,

**ქვირითის** (კეტოვ.) **ხიზილალა,**

თევზის მრეწველნი **ძმ. ძებველოვები.**

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**
**ტელეფონი № 712.**
1131

გამოსული ქერჩის **სელიოტკები,** და ყოველგვარი **კონსერვები.** მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი

**შავი ხიზილალა**

**ინჟინერი**

### ი. ს. კონდოევი
**ტფილისი.** ელისაბედის ქ, 164. ბაქოს ქ. კუთხე.

**ცემენტი** ასფალტი, უდრონი, ცეცხლის მძლე აგური და თიხა, ლურსმეულობა, „ваклецки“, გულცრიელი აგური და კრომიტი და სხ., საშ. მასალა.

**რკინის კოჭები, საქვაბე რკინები, საკუთხე რკინები, სახურავების რკინები.** (**შავი და ცინკნარევი**).

ტელეფონი: კანტორისა 10—93 აგურხანისა № 11—96.

საშენებელი აგურები საკუთარ აგურხანიდან ვაკეზე 1474


ილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.